თ. ლაპიაშვილი მესრულებული აქვს 25 დიდი და პატარა პარტია. უპირახის სიტყვით რომ ვთქვათ — „ერთი მცირე ალით, შეიძლება თახისი ხანთლი აინთოს, მაგრამ მაინც მასწიროა, რომ თეთიულის ალს თავისი საკუთარი საწვავი მასალა კვებადეს“. ასევე შეიძლება ითქვას სასიბოძოზე — მომღერალმა შეიძლება იმღეროს ოცდაათზე მეტი პარტია, მაგრამ თუ არ იბავა ინდივიდუალური ხასიათი თეთიულის მათგანისათვის, თუ გმირის იერსახე არ გააღმდგრა მისთვის დამახასიათებელი, როგორც შინაგანი ასევე გარეგნული ნიშნებით, ისე მისი ხელოვნება ერთფეროვანი და მოსაწყვენი იქნება.

თამარ ლაპიაშვილი ამ შეგნებით მოვიდა ქართულ საოპერო სცენაზე და მთელი თავისი შემოქმედებით უნარი ვოკალურ ხელოვნებას შეაღია.

ოცდასამი წელი საოპერო სცენაზე, სიხარულითა და შექმნადილებით, გულსიტყვილითა და გამარჯვებებით. მისი მომსიბეღელი ხმა და გულწრფელი სიმღერა ახლაც ახსოვს ქართველ მსმენელს. ამიტომაც, 1950 წელს ქართული თეატრის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით მას რუსუბნოლის დამსახურებულ არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

თამარ ლაპიაშვილი კვლავ სიყვარულით და მგზნებარებით განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს, არ შეუძლია არ იმღეროს და მღერის კიდევ.



ეკუპოლ კინწურაშვილი



ტოვა მაყურებლისა და მეგობრების მზესიერებაში. იგი ნამდვილი შემოქმედელი იყო და ნამდვილ თანატოლსაქვე უწოდებოდა იქ, სადაც ჩნდებოდა როგორც მსახიობი თუ მოქალაქე.

ქუთაისი და თეთროქმედებით კოლექტივში მუშაობის წლები, ქართული სცენის გამოჩენილ ხელოვანთან — იუზა ზარდალიშვილთან დაკავშირებული პირველი ნაბიჯები, თეატრალური ნათლობა სცენური ხელოვნების ტრადიციებით მდიდარ ქალაქ ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე განხორციელებული არაერთი დანახარის სოფრეული მხატვრული სახე... მარტოოდენ ტრადიციები როდი იყო წყარო ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებისა. აქ ჯერ კიდევ ერთი ალექსანდრე იმედაშვილის დიდი ნიჭის ცეცხლი, ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ მისი ოტელი და მეფე ლირი. რა დაავიწყდება ვუკოლ კინწურაშვილს კოტე მარჯანიშვილის მიერ ქუთაისში ხორცშესხმული ბრწყინვალე სპექტაკლებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს, უშანგისა და ვერიკოს მღელვარე დუეტს...

ქუთაისის მომთხოვნმა მაყურებელმა თავიდანვე გულთბილად მიიღო ახალგაზრდა მსახიობი, რომელმაც შესაძლო განსხვავებული ხასიათის გმირებისათვის მოექტბნა განსხვავებული ადამიანური თვისებები, ეროვნულობის ნიშნით აღებეჭდა ყოველი მათგანი და თვითველი-სათვის საკუთარი გულის სიკეთე განაწილბინა.

ცხოვრების დიდი შეცნობა ღრმად ჩაისახა ახალგაზრდა მსახიობის მესსიერებაში. პირველივე როლებმა გულწრფელად გაახარა ქუთაისელი მომთხოვნი მაყურებელი, ზოლო კინწურაშვილის მიერ განსახიერებულმა ზოგერთმა სცენურმა გმირმა თეატრის დამფასებელთა და პრესის მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. განსაკუთრებით შეიყვარა მაყურებელმა პავლე გრგოვი, ჩვენი დროის ადამიანი, რომელიც სიმართლესა და პატიოსნებას შთააგონებს ყველას. სპექტაკლის წარმატებას მნიშვნელოვანა დაწაპრობებდა მთავარი გმირის განმასხორციელებელი ევკოლ კინწურაშვილი.

ქუთაისელმა მაყურებელმა განსაკუთრებით დაიმახსოვრა მსახიობი ქარ-

მსახიობის

მოსაგონრალ

თქველი



ის სახეს მუდამ კეთილი ღიმილი ამწვენებდა, შესახედავადაც წარმისადგეი და სანდო-მინი იყო. საკუთარი ადამიანური თვისებები უხვად გადაჰქონდა სცენაზე და სითბოსა და უშუალობას აქსოვდა თავის გმირთა იერსახეებში. ასეთი იყო ვუკოლ კინწურაშვილი, რომელმაც 1938 წელს მორიდებით შემოალო ქართული თეატრის კარები და წარუშლელი კვალი დას-



ქართული
ლიბრერი

თულ რეპერტუარში: დარდიმანდი, მუ-
დამ მოლხენის მოსურნე კირილე მიმი-
ნოშვილი, ბეკინას ახირებული ჭორჭი-
რების ამბავს რომ უსაზღვროდ გაუმზი-
არულებია... პოლიკარპე კაკაბაძის
მადლიანი ნიჭით შთაგონებული კვიი-
ლო, მსახიობის მიერ ზომიერი იუმო-
რითა და უშუალოებით ხორცმესხმული..
ამიტომაც იყო, როდესაც იმერულმა
მაცურებელმა იმერული კოლმეურნე
ჯიბილო გაიცილა, კარგი ნაცნობივით
მიიღო და შეიყვარა.

ქუთაისის სცენაზე წარმატებით გა-
ნახორციელა ვუკოლ კინწურაშვილმა
სურბიელი გმირი ოლეკო დუნდირი, პა-
ლე გრეკოვი და იასონი, ედმუნდი და
ლევან ქვაბულიძე, კახაბერ ხერხეული-
ძე და ბეგერი სხვა.

მაცურებელთა შორის მოპოვებულმა
გულწრფელმა სიყვარულმა გააბედვინა
ვუკოლ კინწურაშვილს თბილისის სცე-
ნაზე განგებრო შემოქმედებითი მუშაო-
ბა. პირველად სანიტარული კულტუ-
რის თეატრში გამოდიოდა, შემდეგ
კი — 1944 წლიდან რუსთაველის სახე-
ლობის თეატრის სახელოვან კოლექ-
ტივის დაუკავშირა თავისი ბედი. როდე-
საც მსახიობის მიერ განვილილ შემოქ-
მედებით გზას და გმირებს ვეცნობით,
ერთი რამ იქცევს ყურადღებას: რო-
გორც ქუთაისის, ასევე რუსთაველის
სახელობის თეატრში 20 წლის მან-
ძალზე შექმნილ მრავალრიცხოვან
გმირთა უმრავლესობა დადებითი ადა-
მანებია, პატიოსანი და კეთილი ბუნე-
ბის ადამიანები. ისინი ხშირად მიაში-
ტობით ხასიათდებიან, მაგრამ სიბოხსა
და უშუალობას არასოდეს არიან
მოკლებულნი.

ყველა ჩვენთაგანს კარგად ახსოვს
რუსი ჯარისკაცის — მიტროხინის მიმ-
ზიდველი, სიკეთით აღსავსე სცენური
სახე სპექტაკლში „არსენა“. ეს იყო
ტიპური რუსი ჯარისკაცი, მისთვის
დამახასიათებელი უშუალოებით და პა-
ტიოსნებით, მოუსყიდველი ხასიათით
და უბრალოებით...

მიტროხინთან ახლოს დგანან კინწუ-
რამულის გმირები — მედოვსკი „კიკ-
ყაში“, პატჩინი — „ოლეკო დუნდირი-
ში“, მაქსიმოვი — „მეზღვაურებში“
და სხვ.

მიტროხინი
(„არსენა“)



ალბერტო
(„სამატარლო
ფილითი“)



ესტრადაზე (კონფერანსზე)

მსახიობს არაერთი ჯგერაჟი გაწვდომთ-ცილებია უცხოელ დრამატურგთა პიესებში და ხშირად მაცურებელთა მოწონებაც დაუმსახურებია. რუსთაველელთა ცნობილ სპექტაკლში — „ყაჩაღები“ კინწურაშვილმა შვეიცერიის როლი შეასრულა და შილერის პიესის ამ სანტიმეტრესოდ გააზრებულ სახეში ორგანულობას და დამაჯერებლობას მიაღწია. პასუხისმგებლობის მაღალმა გრძობამ და შრომისმოყვარეობამ შეაძლებინა მას ბრწყინვალედ შეესრულებინა კრისტოფის როლი სპექტაკლ „პაიტში“.

განსაკუთრებით ეხებებოდა ვ. კინწურაშვილს თავისი თანამემამულის, ქართველი კაცის ხასიათის დახატვა, იმიტომ, რომ კარგად იცნობდა მის ბუნებას, ეროვნულ თავისებურებას, იმიტომ, რომ თვით მსახიობში ბევრი იყო ის, რაც ჩვენბერი კაცისათვის არის დამახასიათებელი. ცხადია, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ მშვენიერი ფიზიკური მონაცემები მსახიობისა, არამედ მხატვრული სიტყვის უტყუარობა. უპიზოდური ხასიათისა იყო ყარაჩხელი დავითის როლი ბარათაშვილის ცხოვრების ამსახველ სპექტაკლში, მაგრამ განა მართო იქ? — ძველი თბილისის მოქალაქის რაოდენ მიმზიდველი ტიპი წარმოსახა მსახიობმა. ძველ გარემოსა და კოლორიტულ ადამიანთა უტყუარი განწყობით კითხულობდა იგი ყარაჩხელის ლექსის სტრიქონებს...

როგორც ყველა მსახიობის სცენურ სახეთა გაღებვას, ვუკოლ კინწურაშვილის რეპერტუარსაც ამშვენებდა მაცურებლის მიერ საუკეთესოდ მიჩნეული ორი სცენური გმირის იერსახე, რომლებთან შეხვედრა შემოქმედებით სისარულს ანიჭებდა მას. სუნდუკიანის „პეპოს“ გმირს კაკულის და ჭაჭავაძის „ოთარაანთ ქერივის“ გიორგის ბეჭი არა აქვთ საერთო, მაგრამ მაცურებელს ერთნაირი ძალით შესტკიოდა გული მათზე, როცა კინწურაშვილისეულ მხატვრულ-სცენურ ზორცმსხმამი ხედავდა.

რუსთაველთა სპექტაკლის „პეპოს“ ოპტიმისტური განწყობის შექმნაში კინწურაშვილის კაკულის მნიშვნელოვანი წვლილი შეაქონდა. მაცურებელს ხიბლავდა კაკულის გაგაცური ერთგულება სიმართლისათვის აღწევებული



ყარაჩხელი დავითა („ბარათაშვილი“)

ბეზოსადმი, ხიბლავად ამ გმირის სულიერი სიღამაზე და პრინციპულობა, იერსახის მთლიანობა. კინწურაშვილის კაკული თავისი მთლიანი ხასიათით და მებრძოლი სულისკვეთებით უპირისპირდებოდა ზიმშიმოვების სამყაროს და მის სამეცადრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა. და ამას მსახიობი აღწევდა დიდი მხატვრული ოსტატობით, კაკულის იერსახეში გადაზრდით, სხვაქცევით.

ეს სცენური სახე სპექტაკლიდან მიღებული ერთ-ერთი ძლიერი შთაბეჭდილება გახლდათ. აღსანიშნავია, რომ მის მრავალრიცხოვან შემსრულებლებს შორის ვუკოლ კინწურაშვილის კაკული საკუთესოდ იქნა აღიარებული და დღესდღეობითაც ასეთად რჩება.

შემდეგ კი ილია ჭავჭავაძის — გიორგი, სიტყვაძნწვი და სულიერად მდიდარი ადამიანი, გრძნობით ანთებული ვაგჟაყი, რომელსაც სიყვარულს ვერ მიუხედნენ ხიდგალმა მდგომი ადამიანები.

მსახიობს მაყურებლამდე უნდა მიეტანა და მიიტანა კიდევ თავმჯავებელი ადამიანის ძლიერი გულისთქმა და გაუმელავენბელი სიყვარულით გამოწვეული დაუღლვეელი სვედა. როცა კინწურაშვილის გიორგი კვდებოდა, მაყურებელი მთელის არსებით გრძნობდა სოციალური განხეთქილების სიმწვავეს და ბოროტებას, იმ ურთიერთარწმობას, რამაც საქართველო ააღლევა და სოციალური თანასწორობის მოთხოვნა ლიტერატურისა და ხელოვნების მოწოდების თემად აქცია.


თავისებური სითბო და უშუალობა მოიტანა ვუკოლ კინწურაშვილმა საესტრადო ხელოვნებაშიც. თითქმის ათი წლის მანძილზე გაისმოდა ფილარმონიის დარბაზებში მისი ჯანსაღი სიცილი, გემრიელი ქართული სიტყვა. მუსიკალური ფელეტონებითა და პაროდებით ხალისიანი განწყობილება შექმნიდა ვუკოლ კინწურაშვილს, როგორც კონფერანსიესაც... არ დარჩენილა სა-

ქართველოს არც ერთი კუთხე. და მისი ქალაქი, კურორტი თუ მალაშვილიანი რაიონი, რომელიც რამდენჯერმე არ შემოველოს საესტრადო ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებულ მსახიობს. მაყურებელიც ღირსეულად უსწავდა სამაგიეროს. ამაზე ნათლად მტკიცებლებზე გულთბილი წერილები, რომლებიც მსახიობს უამრავი მისდოდა.

პატიოსან და უანგარო შრომაში დაასრულა თავისი სიცოცხლე ვუკოლ კინწურაშვილმა. დასაბნია რომ ნაადრევად, 46 წლის ასაკში წავიდა ჩვენთან კეთილშობილი მოქალაქე და შემოქმედი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. ქართველი საზოგადოებრიობა მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებს იმ მოკრძალებული წველისათვის, რომელიც მან ქართული თეატრისა და საესტრადო ხელოვნებისათვის გაიღო.

ლილი ავახაბაძე
გაყვალა ჩიბიძე

წვეფერი („ყაჩაღები“)



გიორგი („ოთხიანთ ქვრივი“)





თ ა ი ს ა — იგი სპარტელი ჩაინდია, შამაგ, მეფეო, ფარზედ ემზღმა აქვს აშვარად გამოხატული: — ხელს იწვდის შისკენ შშით დაშვარა ეთიოპელი და ამბობს ასე: *Lux tua vita mihi!*
ს ი მ ო ნ ი დ ე — ვინც შენი ცოცხლობს, სიყვარულიც დაქვს შენ.

თ ა ი ს ა — მაკედონის პარსიკ ვახუაჲს, შამაგ, მეფეო, და იმის ფარზედ აღმკველი ემზღმა არის ქალის შორილი ამტროსანი ჩაინდია ვინცე. ზედ ესაწურად აწერია სიტყვები ესე: *Piu por dulzura que por fuerza!*
(ვაიკლის მეტყვე რაინდი)

ს ი მ ო ნ ი დ ე — მესამე ვინ სინა?
თ ა ი ს ა — რაინდია ანტიოქელი, ფარზედ ემზღმაღ ძვევის გვირგვინს ატარებს იგი. დევიზი მისი: *Me pompeo provexit apex!*
(ვაიკლის მეტყვე რაინდი)

ს ი მ ო ნ ი დ ე — ვითიხე რაა?
თ ა ი ს ა — ფრას თავადფირა ჩირადღინი გაჩაღებულთ და დევიზია: *Quod me alit me extinguit!*

ს ი მ ო ნ ი დ ე — მინა ყოფილა ეს მწვენების სიყვარულითა. მისი სიტყვებუც იგია და მყვლდრე გულისა.
(ვაიკლის მეტყვე რაინდი)

თ ა ი ს ა — ჩანს მეხუთვზე კაცის ხელი დრუებელთა ჩაკლში,

ოქროს ფუკრია და ამოწმებს სასიხი ქვითა. **ი რ ი ს ა ნ ა**
მის დევიზია: *Sic spectanda fides!* **ს ი მ ო ნ ი დ ე**
(ვაიკლის მეტყვე რაინდი — პერსიკელი)

ს ი მ ო ნ ი დ ე — და რა სწერია უცანასკნელ მეტყვე ფარზე, შიკრძალბულად რომ შიკრძათა თეიონს ჩაინდია.

თ ა ი ს ა — ის უცხოელს ჰკავს. მან მომიძღვა ტრტი დაშვარა, სიწვენი მცირე მხოლოდ წყარზე რომ შერჩინია.

ს ი მ ო ნ ი დ ე — კარგი თქმა არის, პირთა თინა გამოყვლია და ახლა, ბედის შობრბრებს ეთროსა შენი.

პ ო რ ე ვ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი — გარეგნაზე რომ ხელს უწყობდეს სურვილებს მისას, არ აქნებარე მთლად ურთივ. დევიზულად კავს: *ს ი მ ო ნ ი დ ე* — უფრო იხლად ემარტყება, ვიდრე შენის კვრა.

ს ი მ ო ნ ი დ ე — უცხოელია, მარტადე, ალაბთ, რომ ამ ზეიმზე

ასეო უცნაურ შორილობითა გამოგვეცხადა. მესამე დევიზი — ანდა, ჭანში საგანგებოდ დევიზა იქნეს

რომ ასპარეზე შიბილის მტკვრში ვადერის იქვე.

ს ი მ ო ნ ი დ ე — ვაო, სიბარევეს და იმ პურის არარაობას, ტანსაცმელით რომ შეადგებს კაცის ძირასა.

ს ი მ ო ნ ი დ ე — მინა ყოფილა ეს მწვენების სიყვარულითა. მისი სიტყვებუც იგია და მყვლდრე გულისა.
(ვაიკლის მეტყვე რაინდი)

ს ი მ ო ნ ი დ ე — ჩანს მეხუთვზე კაცის ხელი დრუებელთა ჩაკლში, უბარტუე რაინდი.

1 მე მაკოცლებს შენი ნათელი.
2 სინაბით მეტად, ვიდრე ძალთა.
3 ვეწარადე შეწვეულს დღეებისას.
4 რაც ამბობენს, იგივე ჩამპირობს.

1 ერთეულუბას ასე გამოწმებთ.
2 მე ეს იმედი მასულდგებულბას.
ინგლისურად თარგმნა თამარა ი რ ი ს ა ნ ა

ი. ნიკოლაძის დაბადების 90 წლისთავი

მ ი მ ო ნ ე ა

ი ა კ ო ბ ნ ი კ ო ლ ა ქ ე ჯ ა

დავით სულაშვილი



უსთავილის პროსპექტზე, ოპერის თეატრის პირდაპირ, პირველი იმპერიალისტური ომის დროს ქალთა საზოგადოების მიერ დაარსებულ კავებს „ფინჯანი ჩაი“ ეწოდებოდა. ომის შემდეგ მას კაფე „დარბაზი“ დაარქვეს. აქ თავს იყრთა ქართველი საზოგადოების რჩეული ახალგაზრდობა, მწერლები, მომღერლები, მსახიობები, მხატვრები...

ყველა სალამოს ისინი აქ ბაასსა და ხელოვნებაზე საუბარში ატარებდნენ დროს, ხშირად განაღდებოდა ხოლმე კამათი. იმართებოდა პოეზიის საღამოები. ამ საღამოების მომწეობნი და მონაწილენი იყვნენ „ციხეფრეანელები“.

პაოლო იაშვილი, ახოვანი, მოხდენილი, ღამასი შავი

წვერ-ულავით თავისი მოსწრებელი ექსპრომტებით ხიბლავდა საზოგადოებას. მის გვერდით იყო ხოლმე პირმცინარე, ცისფერთვალა ტიციანი.

პატარა მივიდების ირგვლივ შემოშხმდარი საზოგადოება მთ შეესტეროდა. ექსპრომტების წარმოთქმში სხვებიც ჩაერთოდნენ ხოლმე, მაგრამ პაოლს ვერაინ ჯობდა.

თბილისში ერთადერთი ეს კაფე იყო, სადაც შემოქმენი თავს იყრინდნენ. ხელოვნების შიკრფილაღინ არ დაგვიდგდნენ ყოველდღიური ცხოვრების ტირფარამს. არ ჰქონდათ ფული, მაგრამ ჰქონდათ გული და მას მთლიანად ხელოვნებას სწირავდნენ.

აბა, სად შევხვებოდი იაკობ ნიკოლაძეს, თუ არა აქ! იგი ყველასაგან გამოირჩეოდა გარეგნობით. შორილი ტანის, გამზდარი, კოხტად დაყენებული წვერ-ულავით. შვე ხშირ წარბებსა და წამწამებში ჩაფლული, სიღრმეში წასული მოციციკმე თვალბით ისე შემოხვებოდა, თითქმის გუებნებოდა — „აბა დამანახე რა კაცი ხარ, ერთი მოდი, ახლო გაგიწიოო“. შუბლი მთლად დაღარული ჰქონდა. როცა გელაპარაკებოდა, წამწამების ხაზში მის უებებზე შვე ჩრდილს აყენებდა. დაღლილი გამოხვებდა ჰქონდა. დროდადრო მუწუწვერებს მოიმწვედებდა, ისევე გაუწვევდა, თავალუნული დაღლიდა, თითქმის არ უნდა ცხოვრების უკუღმართობას შეხედლოს.

ერთ საღამოს „დარბაზში“ შევხვდი. ერთ მივიდამთა ვისხვით. მოიგონა ჩვენი დიდი ხნის მივიწეებული შეხვედრები სურამში, როცა ის ყრმა იყო და მე ბავშვი. მაშინ მათი ოჯახი საზახულოდ სურამში ჩამოდიდა და იაკობი ჩვენ სახლში ცხოვრობდა. რამდენჯერ გაგუბებუნივარ ალუბლის წვენი.

მოვიგონეთ წარსული და ამან უფრო დაგვაახლოვა ერთ-მანეთს.

ჩვენს ოჯახში ინახებოდა მის მიერ დახატული „სურამის ციხე“. ეს ციხე ჩვენი ეზოდან კარგად ჩანდა. ესეც გავისხუნეთ...

— მამ, შენ ლენინს კარგად იცნობდი, იმასთან გიმგზავრა კიდევ — მეცინხავდა როგორღაც თითქოს შერთო. შემდგომში ლენინის ბიუსტზე მუშაობისას ატელიეში ხშირად მიყვება. მისი სახის ყოველ დეტალზე მეკითხებოდა, ამოწმებდა.

მის ოჯახში ხშირად მივდიოდი. წაუყვავიანოვარ ხოლმე შინაურ სადილზე, როცა ჯერ კიდევ უცხოელად ვიყავი. მიხსნეულზე, სალომე სულხანიშვილი, შესანიშნავი დიასახლისი, მოუკახე, დარბაზიელი ქალი, დინჯი, სათნი და საყვარელი ადამიანი იყო. უყვარდა, პატივს სცემდა და აფასებდა იაკობს. თვითონაც კარგად ხატავდა. ქმარს და შვილებს თავს დასტრიალებდა. იაკობი, თავის ხელოვნებაში ჩაფულული, მეუღლეს აკისრებდა ოჯახის ერთობას.

ორი ქალიშვილი ჰყავდა, ნათი გავი, რომელიც ძალიან აგრე გარდაიცვალა და რომლის სიკვდილის შემდეგ სალომეს იღებნის იაკო უცხოვრია.

იმხანად იაკობ ნიკოლაძე კობის ქუჩაზე მდებარე ატელიეში მუშაობდა. ატელიე ერქვა, თორემ ძველი ფიცრებისაგან შეკრულ, ყავით დახურულ ფარდელში მიხვნილყოფილი ფანჯრებიდან და ფარდალთა კარიდან ქარი თავის ნებუზე დათარწობდა. თოახის შუაგულში იდგა პოსტამენტი, სველი ტომარაკადაფარებული ქანდაკი თავის ნაკეთებს აჩენდა.

აქ მუშაობდა ქართული ქანდაკების ფუძემდებელი იაკობ ნიკოლაძე. იმ დროს მხოლოდ იღვიძებდა საქართველო, იღვიძებდა ხელოვნების დარგები, ხოლო ქართულ სურთომოდლებებს ჯერ მარტო იაკობ ნიკოლაძე ემსახურებოდა. არც შეცნატები, არც მდიდარი ნათესალები მას არ ჰყავდა, საკუთარი შრომით იკვლევდა გზას.

მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ ეიღრა მას ის მშვენიერი ატელიე, სადაც ახლა მისი სახელობის მუზეუმია გახსნილი.

უხაროდა, როცა ვინმე მის ატელიეს ეწვეოდა. მაშინვე სალთა ჩაიყვამდა, ქანდაკებებს შემოეუღლდა, ტილოებს გადსიდა, მომსვლულს უხსნიდა, ებახებოდა, ზევიტ ქანდაჩზე აიყვანდა, კმაყოფილი და გულდაჯერებული მუშაობდა. მაშინ შექმნა ეიღვე შესანიშნავი ნაწარმოებები.

დადგა დღე, როცა ქართველმა საზოგადოებრიობამ იგრძნო მისი სიდიადე. 1922 წლის 11 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში იაკობ ნიკოლაძეს გაუმართეს 25 წლის პოლავნობის იუბილე. საიუბილეო კომისიამ თავის მოწოდებაში საზოგადოებას ასე მიმართა: — „არ ყოფილა საქართველოში სხვა იუბილე ისე საჭირო, როგორც ამ შემთხვევაში, სადაც ხელოვნების ყველა სფეროში, კიდევ გვხვდება სახელები, ხოლო ქანდაკებაში კი იაკობ ნიკოლაძე ერთადერთია, რომელიც 25 წელია უხმოდ ებრძვის ქვას და მის სიღრმეში ყრბს საქართველოს გენიას. იაკობ ნიკოლაძე მთელ საუკუ-

ნეთა ტვირთის მზიდველია. მან ერთმა შეინახა ქანდაკების კრამი ცეცხლი. თუ სხვა სფეროში გმირული სიმბოლოები თაობებმა გადაიკრან, ქანდაკებაში ამ ერთადერთი კაცის ქედს აწვევოდა შემოქმედებითი ტვირთის სიმძიმე. ნიკოლაძემ ეს ერთეული მისია სახელოვნად მოიტანა დღევანდლამდე... კომისია მოითხოვდა აუმუშავებდა მისთვის ატელიე და მართლაც, მალე ფიცრის ფარდელში ამაგდარი მოქანდაკე გმირულად ყიდაზე აიგებულ ატელიეში გადავიდა. იუბილესთან დაკავშირებით იაკობ ნიკოლაძეს სახალხო მოქანდაკის საპატიო წოდება მიენიჭა.

იუბილეს დიდძალი ხალხი დაესწრო. სცენაზე იდგა ნიკოლაძის ნამუშევრები, როგორც კომისიის წევრებს, — მე და სანდრო ყანჭელს წოლად გვხვდა ბინიდან წამოგვეყვანა ძალზე აღუღებელი იაკობი. გზაში ისე თრთოდა, ძლივს ვაწყინარებდით, ხოლო სცენაზე რომ განმოვიყვანეთ და საპატიო ადგილზე დაესვით, დამწვიდდა. სცენაზე მას გვერდით მოუსხდნენ სუმბათაშვილი-იუქილი, დავით კლდიაშვილი და კოტე მყავთაშვილი (საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე). ულოცავდნენ, სიტყვებით მიმართავდნენ, საჩუქრებს მიართმევდნენ, საბოლოო სიტყვა რომ მისცეს, შედგა, სული მოითქვა, ხალხს გადახედა. შინაარსიანი სიტყვა თქვა, მაგრამ ძალიან კი დღეავდა. ამ იუბილეს შემდეგ მისი შემოქმედება მძლავრი აღმავლობის გზით წავიდა. დაფასებამ ძალა შემატა მას, თავისი ძალებისა და გამარჯვების რწმენა განუმტკიცა. „ჩაბრუნების“ ქანდაკება ნიკოლაძის შემოქმედებითი მწვერვალია. მასში გამოსჭვივის დიდი აზრი, აღესილა შემოქმედებითი მაღლით.

იაკობ ნიკოლაძის წინა „ერთი წელი როდენთან“ შესანიშნავად გვიხატავს მის მიერ განვიღილ გზას, უცხო ოსტატთან მუშაობის სიმწველესა და ნაყოფიერებასაც.

იაკობ ნიკოლაძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან. მას ჩვენ „პაკს“ ვეცხდით. მის პატივსაცემად მწერალთა კავშირში საღამო გაუუმართეთ. ამ საღამოზე მან განაცხადა: „ვამაობ იმით, რომ დღეს ქართული ლიტერატურის მუშაკთა შორის ვარ, იმათ შორის, ვინც ყოველთვის იყო ჩემი შთანაგონებელი და განამზნევები. ჩემი მათთან კავშირი ურღვევი იყო მთელი ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე და ეს კავშირი მარტო მეუბნირი ამხანაგური ურთიერთობით როდენ გამოისატეობდა...“

1946 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე, იაკობ ნიკოლაძე ლენინის ორდენით დააჯილდოვეს და საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭეს.

1951 წელს 10 მარტს დღის 9 საათზე განუტკვა მან სული.

13 მარტს მთაწმინდის პანთეონში, იქ, სადაც ასაფლავია ილია ჭავჭავაძე, და სადაც დგას იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ილიას ძეგლი, მშობელმა მიწამ მიიბარა ქართული მხატვრული კულტურის წარმომადგენელი, დიდი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.



„ჩაქვი ვინაზეს, ველარ ნახავ“, დეკორაციის ესკიზი

გრაფიკული

შემოქმედი

მამია ჩხიკვიშვილი



ვატრისა და კინოს მხატვარი, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გორის, ჭიათურის თეატრებში დადგმული სპექტაკლებისა და მრავალი კინოსურათის მხატვრობის ავტორი მიხეილ გოციონიძე ნაყოფიერი შემოქმედი. მას კუთვნიან მრავალი ფერწერული ტილო და გრაფიკული ნამუშევარი, რომელთაც იმთავითვე დიდი ინტერესი აღძრეს ხელოვანთა შორის. მ. გოციონიძის შემოქმედება ორიგინალური და მრავალფეროვანია. პეიჯაჟებისა და ნატურმორტების გვერდით, იგი გატაცებით მუშაობს ეანრულ სურათებსა და ილუსტრაციებზე.

მ. გოციონიძე დაიბადა 1901 წ. მუშის ოჯახში. ადრევე გატაცებული იყო მხატვრობით, მუსიკითა და თეატრით. 1908 წელს გიმნაზიაში შევიდა. სწავლის უკანასკნელ წლებში პარალელურად ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებლებშიც დადიოდა. 1922 წელს, როდესაც თბილისში გაიხსნა სამხატვრო აკადემია, მ. გოციონიძემ სწავლა აკადემიაში განაგრძო, ამავე დროს მუშაობდა „გრუზკაგროსსა“ და „აბკაგროსტაში“ თბილისსა და სოხუმში (1921-1923 წწ.).

გამოფენაში პირველად მიიღო მონაწილეობა 1923 წელს („ამიერკავკასიის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა“), მისმა ოთხმა ნამუშევარმა კარგი შეფასება დაიმსახურა (ამ სურათებიდან ორი ნამუშევარი დღესაც ინახება მხატვრის სახლში). 1924 წელს განათლების მუშაკთა კავშირში გამართულ ქართველ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენაზე მ. გოციონიძე 14 ნამუშევრით წარსდგა და მსახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. „ამ გამოფენაზე — წერდა ეურნალი „ზელოფენების დროსა“ (1924 № 7) — მნიშვნელოვანი ადგილ უჭირავთ მ. გოციონიძეს და ი. გამრეკელს, როგორც შემოქმედებითი ფანტაზიის მხრით, ისე ოსტატობის მხრითაც“. იმავე ეურნალის ცნობით, მ. გოციონიძის ნაწარმოებებში მკაფიოდ იგრძნობოდა „პერსპექტივის ღრმა შეგრძნება, ძლიერი ხასიათები და საუკეთესოდ შესრულება ჩანაფიქრისა. საერთოდაც მას ლამაზი ხელი აქვს და ყველა მანერით წერა ერთნაირად უხერხებლო — იუწყებოდა პრესა. ამ დროიდან მოყოლებული 1931 წლამდე მ. გოციონიძე ყოველწლიურად მონაწილეობდა ქართველ მხატვართა საანგარიშო გამოფენებზე.

მ. გოციონიძის ადრეულ გრაფიკულ ნამუშევრებს გამოიყენილი ქართული მხატვრის ლ. გუდიაშვილის გავლენის კვალი აჩნია („იდილია“, „ქვიფი“). მაგრამ იგი თანდათან იქმნის თავის ინდივიდუალურ ხასიეს, ხელწერას და თემატურად სა-

ინტერესო, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს ქმნის. ამ მხრივ აღსანიშნავია დიდი ზომის გრაფიკული ნაწარმოები „ძველი თბილისი“, რომელიც საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციას ამჟღავნებს. ნახატზე აღბეჭდილია ძველი თბილისის უძველესი უბანი, რომელსაც ნარეკალი ციხე გვირგვინებით თავს წამოსდგომია. ქუჩებით მოკირწყლული ქუჩა... სახლები შეშველია მოჩუქურთმებული აივნებით, რომელთა შორის გაბმულ თოვზე ქანაზს გასაშრობად გაკიდული სარეცხი. განიერმარგლებიანი, თაბახშედგმული, თევზით სავსე მარხილის გვერდით მიმავალი კინტოები მხატვარს კოლორიტულად აქვს წარმოსახული. აქვე არიან თაბახზე ლამაზად დაწყობილი შოთი პურებით მდიდურად მიმავალი ყარაჩოხელი, აქლემზე მჯდარი კმაყოფილი ვაჭარი... საინტერესოდ აგებული პერსპექტივა ავლენს ქალაქის დამახასიათებელ არქიტექტურულ ძეგლებს. ჩანს, რომ მხატვარს მხოლოდ ხედა და მდიდარი ფანტაზია გააჩნია.


ძველი თბილისის სერითიდან მ. გოცირიძეს ბევრი გამოშსახველი ნამუშევარი აქვს. მათ შორის გამოირჩევა „თევზის გამყიდველი“. სურათზე ვხედავთ კინტოს. იგი ამყავდ დაგას, იაშუე მოხდენილად შეუდგამს თაბახს, რომელშიაც ლამაზად აწყვია გასაყიდი თევზები. მოსვენა მიყრბობილი იქვე მახლობლად მდგარი მოსაუბრე ქალების, სასერიწოდ მიმავალ ქალ-ავთა ყურადღება. კინტო აქვს თავის საქონელს, თან ჰაღლებთან თამაშით ერთობა...

მ. გოცირიძე თავიდანვე აღიარებული იყო როგორც ფერის პეგრძნობი, მისი „კრისტალურად დამლაგებელი“ ნახატში. მხატვარს ეტყებოდა პავლის, სინათლის გადმოცემა, უყვარს საკრთველის მთავარიანი ბუნების სიმშვენიერე და ამ სიყვარულზე მრავალმეტყველი ფერებით გვეუბნება.

მ. გოცირიძის ნამუშევრების დათვლიერებისას არ შეიძლება არ იგრძნოთ, რომ მათი ავტორი თავისი ქვეყნის, ბუნებისა და ხალხის უსაზღვროდ მოყვარული, ქართულ ნიადგასა და ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი განათლებული მხატვარია. მოშობილავია მ. გოცირიძის პეიზაჟური ნაწარმოებები. მხატვარი მრავალ ვარიანტში გვაძლევს ადრეული გაზაფხულის სურათებს, როდესაც სითბოსა და მოძალებული სიცოცხლისაგან ხის კვირტები იბერებიან, სეღებიან და შვენიერ სურნელოვან ყვავილებად იქვეყიან. აყვავებული ტოტის კუნწულაც კი მხატვრის მიერ ისეთი ექსპანსითაა შესრულებული, რომ ღრმად გვაგრძნობინებს გაზაფხულის სურნელებას.

გემოვნებით ახამებს მხატვარი შემოდგომის ფერებს, ხოლო ზამთრის თეთრი სამოსელი სეღებიანად განაწყობს მაცურებელს.

თეატრში მხატვარი სრულიად ახალგაზრდა მივიდა. იმ დროისათვის ქართულმა თეატრმა ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა ახალგაზრდა მხატვრებს. ცნობილია, ჩვენ სენას არ გააჩნდა მდიდარი გამოყდილება დეკორატიულ ხელოვნებაში, რომ გარკვეული გზით შეძლებულიყო სიარული. დიდი შრომისა და მეცადინეობის შედეგად მიხილ გოცირიძემ თეატრალურ ხელოვნებაში გარკვეული ადგილი დაიმკიდრა.



ძველი თბილისი

1925 წლიდან იგი უკვე აფორმებს სპექტაკლებს, მუშაობს მხატვარ-დეკორატორად თბილისის ახალ თეატრში, ხოლო 1927-1928 და 1930 წლის სეზონში რეჟისორმა მ. ჭორელმა მიიწვია ქუთაისის თეატრში მთავარ მხატვრად. მის შემოქმედებით ნამოყალიბებამი უღაოდ დიდი როლი შეასრულეს რეჟისორებმა მ. ჭორელმა და ა. თაყაივილიმა. ორი სეზონის მანძილზე აფორმებდა მ. გოცირიძე მათ მიერ დადგმულ სპექტაკლებს. შესანიშნავად ახერხებდა პიესის აქტორისა და რეჟისორის ჩანადერთა გახსნას, წინა პლანზე წამოწევასა და ხორცმუსხმას („მარკიტანკა, სივარტ“).

„რობინ ჰუდის“ პერსონაჟთა კოსტუმების ესკიზი





„ლადო კეკელიძე“. დეკორაციის ესკიზი

მ. გოცირიძის შესაძლებლობანი მუსიკალურ სპექტაკლებშიც გამოვლინდა. ეს არის „რაც გინასავს, ვეღარ ნახავ“ — მუსიკალური კომედიის თეატრი.

საბავშვო სპექტაკლების გაფორმებისას მ. გოცირიძე ცდილობს ყოველი მიზანსაცნა კომპოზიციურად ისე გადაწყვიტოს, სახერხად ისე გამომტყნოს, რომ იგი მთელი სპექტაკლის დედაზარსა და მხატვრული მიზანდასახულობის ორგანული ნაწილი გახდეს, ბავშვის ასაკს და მის გონებრივ მონაცემებს შეესიტყვებოდეს. მოზარდმაყურებელთა თეატრებში მ. გოცირიძის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებს შორის გამოირჩევა „როზინა ჭუდი“, „ლადო კეკელიძე“, „დიდი ერტიკოსია“, აგრეთვე სპექტაკლები თოჯინების ქართულ და რუსულ თეატრებში. მხატვარი მუშაობდა რეჟისორებთან — ბ. გამარჯილთან, ა. ჩხარტიშვილთან, ნ. გომიშვილთან, გ. მიქელაძესთან და სხვ.

თანამედროვე თეატრზე დაწერილი ნაწარმოებების პარ-

ლეულად მას გაფორმებული აქვს უცხოური და ისტორიული პიესებიც. განსაკუთრებული გულსუსრით მუშაობდა კონსტანტინე მელიქიძის ფანტაზიით ახერხებს, რომ პიესის, ეპოქისა და ისტორიულობის დაცვასთან ერთად მსახიობის გარეგნობას შეუხამოს კოსტუმის იერი და ყოველივე იმის საფუძველზე მსახიობის მიერ განსახორციელებელი გმირის დეტალური დახასიათება მოგვეს. მ. გოცირიძე ცდილობს სცენა ისე გადაწყვიტოს, რომ მსახიობს მთელი შესაძლებლობა მიეცეს არტიტული ხელოვნების გამოსავლენად. ასწავლის მათ კოსტუმების ტარებას, თავის დაჭერის მანერას.

შემოქმედი არასოდეს ერიდებოდა ექსპერიმენტებს, დაუზარებლად ცვლიდა ერთ ფორმას მეორეთი, რათა სრული თანხმობა დამყარებულიყო მის მხატვრობასა და მსახიობთა ხელოვნების შორის.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მ. გოცირიძემ ნაყოფიერი მუშაობა ჩატარა კინოსტუდიაშიც. იგი ავტორია მრავალი კინოფილმის მხატვრობისა, რომელთაც პოპულარობა და აღიარება მოიპოვეს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს არის „გოთრგი სააკაძე“, რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა, სამამულო ომის დროს (1944 წ) შექმნილი „კურდღის ფარი“, რომელიც ასევე სახელმწიფო პრემიით აღიწინა, „სხვისი შვილები“ (1958 წ), რომელიც ლონდონის კინოფესტივალზე 1959 წელს დიპლომი მიიღო. ბუნებრივია, ამ კინონაწარმოებთა წარმატებაში თავისი წვლილი მიხილ გოცირიძესაც ეკუთვნის.

მალე ვიხსენებ მ. გოცირიძის ნაწარმოებთა პერსონალურ გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მხატვრის ნამუშევრები ყველა სფეროში (გრაფიკა, ფერწერა, დეკორატიული ესკიზები). ეს გამოფენა სრულ წარმოდგენას შეეციქმნის მხატვრის თვითმყოფადსა და საინტერესო შემოქმედებაზე.

პირი ხალხური სიუჟარის შესახებ

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლში ჩაწერილია ძველი მეგრული ხალხური სიმღერა „სიხმარი“. ტექსტი მეგრულია:

დუმა სიხმარი მა მიღვლენი, ღორითქ უეს ჯგირთუღამა:
ტორითქ ქომორთი უჩანწერილი, წამალი კოთხებ გურიშ ქუფში.
მ ი ს ა მ დ ე რ ი:

დიდაჲ, დიდა, მივლინეო, ჩქიმი ცოლქ
დიდაჲ, დიდა, მუქქიხიხა, ჩქიმი ცოლქ
ღურქ მიჩქნად, შიშით ღოღურთი, — ვავორდი ნარჩქანი
მა თუქუაჲში.

„ჩილი რყენსია“, მიფშაქავებს პირველ შემინა ქომოლსქუაში.
მ ი ს ა მ დ ე რ ი...

სიმღერა ქართულად ასე გამოიყურება:
წუხელ რომ სიხმარი ენახე, ღმერთო კეთილად ამხდინე.
მტრული მოვიდა შეგი სეღარით, წამალი შიშმა გულს ტყვილისი.
მ ი ს ა მ დ ე რ ი:

„დიდაჲ, დედაჲ, ვითომ დაეიღუპო ჩემი ცოლქა!
დიდაჲ, დედაჲ, რა გქნა, რა მეშველება, ჩემი ცოლქა!
სიკვდილი შეგონა, შიშით მოვიდა, ჩვეული არ ვიყუე შე
გისთანას.

„მთუღო გყავსო“ და მილოცვანდ პირველ შექენს
ვაგიშვილისას.

ჩემს ბავშვობაში ამ ტექსტს მისამღერით მღეროდნენ სოფ. დინაჯში (გემეკორის რაიონი). ტექსტის გაცნობიდან ცხადი ხდება, რომ მისამღერი საესებთ შეეხამება სიმღერის ტექსტს: სიხმარის მხახველი ღმერთს სთხოვს კეთილად აუზდინოს სიხმარი, თანაც შიშობს — ნუთუ დაღუპვა მომივლით.

კომპოზიტორ ფოცხვერაშვილს კი ეს მისამღერი დაურთავს მეორე ხალხური სიმღერისათვისაც — „აჲ სირქეშიო“, რაც მართებული არ არის. მისამღერი „დიდაჲ, დიდას“ შინაარსი ლოცვრად გამომდინარეობს სიმღერის („სიხმარი“) ტექსტის შინაარსიდან და იგი სწორედ მას უნდა ერთვოდეს. ამ აზრს იზიარებენ ქართული ხალხური სიმღერის ვეტრანები: ლოტბარი ვლადიმერ ბაბილუა, ლადო გემეკორი (პოეტა, ხალხური სიმღერის ოსტატებზე მონოგრაფიების ავტორი), ცაცა ზურცია (ლოტბარი) და სხვ.

იქნებ გასწორდეს შეგდომა.

ი. თოფაძე

ქართული
თეატრის
ჰისტორიული
ისტორია



დოქტორი ჯაფარიძე

შალვა მაჭავარიანი

ქართული თეატრის და სანახაობრივი კულტურის ისტორია დიდი ხანია ელის თავის ნიჭიერ, პირუთვნელ მკვლევარს. ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში, ამ 30 თუ 40-ოდე წლის წინათ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, ლიტერატურის თუ ეროვნული კულტურის ყველა მკვლევარს მიაჩნდა, რომ ქართული თეატრი სათავეს იღებს XVIII საუკუნის მიწურულიდან, როცა რუსულ-ევროპული თეატრალური კულტურის ზეგავლენით, რუსეთში სწავლა-განათლება მიღებულმა ახალგაზრდობამ ერეკლეს სასახლის კართან შეკმნა სრულიად თანამედროვე სახის თეატრი, სადაც წარმატებით იდგმებოდა არა მარტო თარგმნილი, კერძოდ ა. სუამროკოვის

კომედიები, არამედ თანადროული ქართული დრამატურგიის ნიმუშებიც, რომლებიც კლასიციზმის მძლავრი ზეგავლენით იყო აღბეჭდილი.

იმის გამო, რომ ჯერონდან არ იყო შესწავლილი თეატრის ისტორიის ბოზიციებიდან ის უმდიდრესი მასალები, რასაც გვაწვდიან საისტორიო თუ სალიტერატურო მხატვრულ ძეგლებში დაცული, ეთნოგრაფიული თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, ეროვნული სანახაობრივი კულტურისა და თეატრის უძველესი ისტორია ნისლით იყო მოცული. ეს ისტორია კი, როგორც ახლა ირკვევა, ერთობ საინტერესო ყოფილა და ნაირფერი. ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიის სწორედ ამ ხარვეზის ამოფხებას ემსახურება ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე“, რომელიც ავტორის სამი ათეული წლის დაკვირვებული და გულმოდგინე მეცნიერული შრომის ნაყოფს წარმოადგენს.

ეროვნული სანახაობრივი კულტურის შესწავლა-გამოკვლევას პროფ. დ. ჯანელიძე ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში შეუდგა და 1943 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართული თეატრის ხალხური ნაწიყები“.



მკითხველს წარმოუდგენს არქეოლოგიურ გათხრებით „შაქი-ვებულ მასალას. ვრცლად იხილავს საფრისტუბო“-მისტერების გამოსახულებას თრიალეთის სასმისზე, მსჯელობს მატერიალური კულტურის ძეგლებზე და აღნიშნავს კოლხეთისა (არე-სის ველზე მდებარე) და უფლისციხის უტყვანთა მნიშვნელო-ბას ეროვნულ-სანახაობრივი კულტურის განვითარებისათვის.

მეორე თავში განხილულია თეატრი და სანახაობრივი კულტურა მონათმფლობელურ ხანაში. აქ ავტორი ფართოდ წარმოუდგენს მკითხველს უძველესი საისტორიო წყაროების ცნობას კოლხეთის კულტურის შესახებ. იხილავს პროკოპი კესარიელის ცნობას აფსარუს თეატრონისა და იპოდრომის შესახებ, გვაცნობს თემისტიონის ცნობას კოლხეთის, კერძოდ ფასისის რიტორიკული აკადემიის შესახებ. გვაცნობს რა ჩვე-ნი არქეოლოგიის უკანასკნელ მონაპოვრებს, მათი ანალიზის საფუძველზე მცენიერი ახერხებს იმდროინდელი მისტერიული სანახაობების ნაწილობრივ აღდგენას. აქვე მოცემულია საი პოდრომო და სასპარეზო სანახაობათა ანალიზი. ავტორი გვაცნობს იმდროისათვის მსოფლიოში სახელგანთქმული ქარ-თველი მოსაპარეზოს რადამისტოს შემოქმედებას, ქართველ მოსაპარეზოთა გამოსვლებს რომში, ფართოდ იხილავს კლდში გამოკვეთილი ქალქის — უფლისციხის სანახაობრივ ნაგებობათა კომპლექსს და ამ თემაზე არსებულ მცენიერული ლიტერატურის მომარჯვებით ახერხებს დაასაბუთოს, რომ ეს კლდე-ქალქი შემგული ყოფილა თეატრითა და მცირე უტყეა-ნით, სადაც არა მარტო საუკლეტო მისტერიული სანახაობანი, არამედ თეატრალური წარმოდგენებიც იმართებოდა.

როცა ლაბარავთის ძველი ქართული დრამატული პოეზი-ის საკითხებზე, პროფ. დ. ჯანელიძე ბევრ საყურადღებო მი-სჯერებას აყენებს, რომელთა მიხედვითაც ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში დაცულ მრავალ ცნობას ახალი შე-ქი ეფუძნება. ისინი მოწოდებენ ხელოვნებისა და თეატრალური კულტურის მაღალ დონეს ჩვენში.

აღრეული ფეოდალური ხანის საეკლესიო თეატრისა და სა-ხიობის განხილვისას ავტორი ვრცლად ამუშავებს „მალაგარი-ანში“ აღწერილ პანტომიმურ ეროტიკულ სპექტაკლს, ყოფს მას 5 განყოფილება და დეტალური ანალიზის სა-ფუძველზე აშტაკებს, რომ ამ შესანიშნავ ძეგლში ასახვა პო-ეზი იმდროინდელი თეატრალურ-სანახაობრივ კულტურაში. მცენიერი ვრცლად იხილავს ქართულ-ბიზანტიური თეატრ-ალური ურთიერთობის საკითხებს, სპეციალურ თავებს უძღ-ენს ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში შემორჩენილ დრამატული პოეზიის ფრაგმენტებს, ხალხური თოჯინების თე-ატრს, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ VII საუკუნიდან არსე-ბობდა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლების განხილვისას, რომლებზეც, მისი აზრით, შემორჩენილია დრამატული სცე-ნები და ფრაგმენტები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთ-მობს ქართულ სატირიკულ ეანრს „გინება მაწინობას“, რომელ-საც უადრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თეატრალურ-სა-ნახაობრივი ჟანრების განვითარების ისტორიაში.

შემდეგ ავტორი იხილავს თეატრსა და სახიობას ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოშობის პერიოდში, აღგენს ძველ ქართულ თეატრალურ სანახაობრივ ტერმინებს, ანა-

რისთვისაც მას ფილოლოგიურ მენიერებათა კანდიდატის სამეცნიერო სარისხი მიანიჭეს. მას შემდეგ მკვლევარმა გა-ნაგრძო მუშაობა ამ სფეროში და 1948 წ. გადამუშავებული სახით გამოსცა ეს გამოკვლევა. 1949 წელს საქართველოს თეატრალურ მუზეუმში მოაწყო დიდი საგამოფენო ექსპოზიცია „ძველი ქართული სანახაობრივი კულტურა და თეატრი“, რომელზეც დიდად გაამდიდრა ჩვენს ხელთ არსებული მასა-ლები უძველესი დროის ქართული მისტერიალურ-საფერხე-ული სანახაობებისა და თეატრის შესახებ. ამასთან, განვლილი წლების მანძილზე პროფ. დ. ჯანელიძე დაუცხრობლად იღე-წოდა თეატრის ისტორიის მასალების ყოველმხრივი შესწავ-ლისათვის, აქვეყნებდა ცალკეულ წერილებსა და გამოკლე-უვებს, გამოსცა ამ წერილების კრებულს „სახიობა“ (1958 წ.) და მონაგრაფიული გამოკლევა „Грузинский театр“. ამ 30-წლიანი გულმოდგინე მცენიერული კვლევის შედეგია სა-რეცენზიო შრომა.

პროფ. დ. ჯანელიძის „ქართული თეატრის ისტორიის“ I ტომი, რომელიც გამოცემილობა „ლიტერატურა და ხე-ლოვნებები“ შესთავაზა მკითხველს ამ რამდენიმე ხნის წინათ, დიდი შენაძინა ქართულ თეატრმცოდნეობაში. მასში თავ-მოყრილი და განალაიხებულა უაღრესად ნაირფერი და სა-ინტერესო ფაქტობრივი მასალა, მოცემულია ავტორის სა-ყურადღებო და მნიშვნელოვანი დასკვნები, დასაბუთებულია ჩვენი ეროვნული სანახაობრივი კულტურისა და თეატრის თვითმყოფადობა. სწორედ ამიტომ, შეიძლება თამამად ით-ქვას, რომ ეს მცენიერული გამოკლევა წარმოადგენს მნიშ-ვნელოვან ნაბიჯს ქართული სანახაობრივი კულტურისა და თეატრის ისტორიის ქმშარბიტად მცენიერულ შესწავლის სფეროში.

პირველ თავში, სადაც ლაბარავთა სანახაობრივი კულ-ტურის ელემენტებზე პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში, ავტორი ვრცლად იხილავს ადრინდელ ხალხურ საეკლესიო-საფერხეულ მისტერიებს, არკვევს მათ მნიშვნელო-ბას სანახაობრივი კულტურის განვითარებისათვის. ამასთან



ლიზებს საერო სადღესასწაულო წარმოდგენებს, სამეფოსკარო სანახაობებს და გელათის აკადემიის სასკოლო სახიობას. აქვე, ხალხური სახიობის გვერდით, ავტორი ცდილობს გამოიყვლიოს და აღადგინოს იმდროინდელი დრამატული მწერლობის თემბარება, თუ ცალკეული ფრაგმენტები. კერძოდ, წარწერებული აქვს ფრიად საინტერესო მოსაზრება იმდროინდელი სამეფოსკარო დრამატული პოეტის ბისტკიას შესახებ. მაგრამ არც მკვლევარი ამტკიცებს, ჩახურხურებს „თაბაჩიანის“ ელგიაში მოხსენებული მოგზაური პოეტი იგივე ბისტკიასო, ნაკლებ დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

შემდეგ თავებში მცენიერი ვრცლად ხილავს XIV-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის სახიობასა და სანახაობრივ კულტურას, ასაბუთებს, რომ XIV საუკუნიდან მოყოლებული პართული შეფთვა კარზე სვეცილური თანამდებობაც უფილი — ჩუშნარბი ანუ ამირჩუშნი, რომელსაც გარდა მფერის დაცვისა, სასახლის კარის სახიობისა და სანახაობრივი წარმოდგენების ორგანიზაცია ევალებოდა. მკვლევარი ვრცლად აშუქებს სახიობისა და სანახაობრივი წარმოდგენების პრობლემებს სამეფო კარზე და ხილავს თეატრის ისტორიის ივალსაზრისით საინტერესო ცნობებს ამ პერიოდის მწერლობაში. აქვე მცენიერი ახალბეს სვეტებს დრამატულ ელემენტებს თეატრის პირველის, არჩილის პოეზიაში, ცალკე თავს უბოძებს სულხან-საბა ორბელიანის თეატრს.

ეს მონოგრაფიული გამოკვლევა ნათელ წარმოდგენას აძლევს მეოთხეულის ჩვენი უძველესი სანახაობრივი კულტურის, სახიობის და თეატრის შესახებ. შრომას აქვს, ჩვენის აზრით, ზოგიერთი ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ისეთი ნაკლი, რომლის გამოსწორებთაც ბევრად მოიკვება.

ჯერ-ერთი, ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა ასეთ მონოგრაფულ გამოკვლევას, შესავლის სახით, დართოდა ქართული თეატრის პერიოდისაცა. მართალია, ცალკეული თავები არსებითად პლასტებს გამოყოფს ჩვენი თეატრის ისტორიაში, მაგრამ ამ პლასტების ცალკე გამოყოფითა და სოციალური პოლიტიკურ ფონზე დახასიათებით ბევრად მოიკვება შრომა.

ზოგჯერ ავტორი, ალბათ ფაქტური მასალის სიუზვის გამო, ძალზე დიდ და ნაკლებ დამაჯერებელ ვარაუდებს უშვებს. მაგალითად, 209 გვერდზე, მოაქვს ციტატა გიორგი მერჩულეს „კრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: — „ხოლო აცდუნა მტერისა ხელმწიფე იგი და მოიყუნა მან დედაცაჲ სიძეცა მას მისან, რომელსა თანა იმრუშებდა, რამეთუ ეშმაკი ტრფალბისა ფრიად აზრუნდა“ — და პირდაპირ აცხადებს, რომ ძველ ქართულში მეძავი და მსახიობელი ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარებოდა. 322 გვერდზე იმეორებს იგივე მოსაზრებას და საკუთარ მოაქვს ეჭვიანი ათონელის „ჩრლის კანონიდან“ ციტატა: „რომელმან ქვერი შეირთოს, ანუ მეძავი, ანუ ქრისიანად გაძევილი, ანუ მგოსანი ვერ ვხელმწიფვის მღვდლობად“. გასაკვირა, ეს ციტატა ვერ გამოდგება იმ აზრის დასასაბუთებლად, რომ ძველ ქართულში მეძავი და მსახიობელი ან მგოსანი ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვა იყო.

143 გვერდზე მოტანილი ლეონტი მროველის ცნობის ფრაგმენტის ლექვის სახით წარმოდგენა და მიუღწერელი მტკიცება იმისა, რომ იგი ძველი ქართული ტრაგედიის ფრაგმენტი, ნაკლებ დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე, პაკიორაფიული თუ საისტორიო თხზულებების დიალოგოზაცია და ამის საფუძველზე მტკიცება, რომ ჩვენში ლიტურგიული დრამა არსებობდა, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. მართლმადიდებელმა გელესიამ საერთოდ ვერ შეიწყნარა თეატრი და ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანობის ეს სექტა ბატონობდა, ლიტურგიული დრამა არც განვითარებულა. კათოლიკურ ქვეყნებში თეატრი შეიწყნარა ეკლესიამ და ლიტურგიული დრამის ლიტურგიული ნიმუშები მოდულულა ჩვენამდე. პაკიორაფიული ძველებების, იქნება იგი „მოთხრობა აბუყურახსი წამებისათვის მიქაელ საბაწინდელისა“, „კითხობა მიგებათ იესუთსა და განრღვეულისა“ დიალოგოზაცია, ჩემის აზრით, არ შეიძლება ლიტურგიულ დრამად ჩაევალოთ, როგორც სანახაობრივი ელემენტაც არ უნდა იყოს შიგ, რადგან ასეთ სანახაობრივ ელემენტებს ქრისტიანული ლიტურგია აერთოდ მოიცავდა. ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება აგრეთვე 313 გვერდზე მტკიცება, თითქოს შეფთვის „აბდულმუსიანმა“ შემოგვიანხა მოდულული „ქებანი“ გელათის აკადემიაში წარმოდგენის აღწერა. თუ ამ „ქებაში“ ისევე აბდულმუსიანი იგულისხმება, ეს შეუძლებელია, თუ სხვა რამ — სხვა რა ქებანი ქჷრნდა დაწერილი შეფთელსა?

3. ინგოროყვას თავისთავად ნაკლებ დასაბუთებულ ვარაუდზე, რომ შ. რუსთაველს ქჷრნია რაღაც სხვა ეპიკური ნაწარმოები „ქებანი“, პროფ. დ. ჯანელიძეს თავისი ვარაუდი აუგია და პირდაპირ აცხადებს, რომ „რუსთაველი XII საუკუნის დრამატული პოეზიის წარმომადგენელიც იყო და მისი „ქებანი“ მცირე თანრის ნაწარმოებს კი არ წარმოადგენდა, არამედ მონუმენტრის. ამ ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია“-ო (გვ. 377). რას ემყარება ეს ვარაუდი?

ასევე საეჭვოა და ნაკლებ დასაბუთებული უნდა იყოს, ჩვენის აზრით, მტკიცება ყუილუ არსლანის მსახიობობის შესახებ.

ცხადია ეს შენიშვნები ისეთს არას მოიცავენ, რასაც შეძლოს ჩრდილი მიაცენოს ამ ფუნდამენტურ მცენიერულ გამოკვლევას.

პროფ. დ. ჯანელიძის შრომა „ქართული თეატრის ისტორია“ ავტორის ხანგრძლივი მცენიერული შრომის ნაყოფია. იგი პირველი ცდაა ქართული თეატრისა და სანახაობრივი კულტურის უძლიერესი მასალების თავმოყრის, განსჯადების და ანალიზისა. ავტორის შეჯერბილი დიდიძალი ფაქტური მასალა სოციალურ სინამდვილესთან და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებასთან მჭიდრო კავშირში განხილავს, ამასთან წამოუყენებია და გააღვირია ქართული სანახაობრივი კულტურისა და თეატრის განვითარების უამრავი პრობლემა. სწორედ ამიტომ ეს წიგნი ჩვენი თეატრმცოდნეობითი ლიტურატურის დიდი შენაძნია.



ქაშვი სედი, 192 წამული სკოლა

19200
 402545004
 80764140

ვაკა კახიანი, 292 წამული სკოლა



მოსწავლეები

მღერს მღერამს ჩვენცა სტა-
 გელის მიწვევით მსგავრად
 ფიანოქვედს V ატესულებს
 აღმზად, რიგდევ სენი კარა კ-
 ლდობი დი ზმრეულელი გმოყ-
 ლმა.

ქ ამანის სკოლის მუსიკალურ
 კონცერტზე იუგენი სემეო მსგავრად
 აღმზად სკოლა სკოლა კარა
 აღმზად მღერის ტურნეებზე
 ფარდობდებდა მღერის სკოლა



მსგავრად ფიანოქვედს სენი ატესულებს იუგენი სემეო მსგავრად კონცერტზე

მსგავრად მღერის მღერის

კონცერტი, მსგავრად იუგენი
 ფიანოქვედს სემეო მსგავრად
 კონცერტზე მღერის და სემეო
 ფიანოქვედს სემეო მსგავრად
 კონცერტზე მღერის და სემეო
 ფიანოქვედს სემეო მსგავრად

112 წამული სკოლა
 სემეო მსგავრად

მღერის სკოლის მღერის, 43-
 წამული სკოლა მსგავრად ვენის
 და იუგენი სემეო მსგავრად
 40 წამული სკოლა კონცერტი
 7220 წამული სკოლა და სემეო
 სემეო მსგავრად და სემეო
 მსგავრად მსგავრად მსგავრად
 მსგავრად მსგავრად მსგავრად
 მსგავრად მსგავრად მსგავრად

ქ ამანის სკოლის მუსიკალურ
 კონცერტზე იუგენი სემეო მსგავრად
 აღმზად სკოლა სკოლა კარა
 აღმზად მღერის ტურნეებზე
 ფარდობდებდა მღერის სკოლა





სუბლილის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გასული წლის სეზონი (1965-1966) ახალგაზრდა დრამატურგის ჯ. მონიავას პიესით „კორპუსი 5, ოთახი 55“ დაიწყო. სპექტაკლი პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ორიგინალური გადაწყვეტებით. დამდგმელმა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ, მთავარი როლების შემსრულებელმა ავთანდილ მახარაძემ და ჯანრი ლოლაშვილმა გასულ წელს დაამთავრეს თბილისის თეატრალური ინსტიტუტი და სამუშაოდ სუბლილის თეატრში გაემგზავრნენ. მალე მათ შეუერთდა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული აკაკი რამიშვილი და ახალგაზრდებმა თეატრის ადგილობრივ ნიჭიერ კოლექტივთან ერთად ხელი მოჰკიდეს სეზონის პირველი პრემიერის მზადებას.

თ. ჩხეიძემ სპექტაკლი დინამიურად ააგო. მხატვარი ა. რამიშვილი ღრმად ჩასწვდა რეჟისორის ჩანაფიქრს. სცენაზე ყოველი მოქმედებისა თუ სურათის დეკორაციული გარემო ტუნწი, ამავე დროს აზრობრივი პირობითობითაა განსაზღვრული. მყურებელიც დაუძაბავად, ემოციურად აღიქვამს და განიცდის სცენაზე მომხდარ ამბებს.

სპექტაკლი ორიგინალურია არა მარტო ფორმით, არამედ მთელი შინაგანი სტრუქტურით. დამდგმელმა წინ წამოსწია გმირთა სულიერი სამყარო, მათი ახალგაზრდული ენებები, მისწრაფებანი, ამასთანავე შეტეხი ეჭვებთან ისინი შეტად მიმზიდველ ფერებში. ამიტომაც მყურებელმა გულთბილად მიიღო მსუბუქი ლირიზმითა და რომანტიკული მგზნებარებით გამთბარი სპექტაკლი.

სუბლილის თეატრში „კორპუსი 5, ოთახი 55“-ის წარმატება უმთავრესად განაპირობა კარად შეხმატებლებულმა „კვარტეტმა“. პიესის გმირებია გია, თემო, გურამი და ელდარი, რომლებსაც თ. ჩხეიძე (დამდგმელი რეჟისორი), ა. მახარაძე, გ. ლოლაშვილი და ა. ჯვარაცია განასახიერებენ. მეგობრები სტუდენტთა ქალაქში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ. მათი მისამართია — კორპუსი 5, ოთახი 55. ახალგაზრდები როგორც ხასიათით, ისე პროფესიითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ელდარი მომავალი არქიტექტორია, სურამი მომავალი ფიზიკოსი, გია თეატრალურზე სწავლობს, თემო კი უნივერსიტეტში, ისტორიულზე. მაგრამ მათ აკავშირებთ საერთო მეგობრული გრძნობა, რომელსაც წუთიერი გაუკებრობით გამოწყვეული უკმაყოფილება თუ უნებლიე შეცდომები ვერ არყვევენ.

ახალგაზრდა მსახიობები გმირთა სულიერ განწყობილ-

ბას, მათს მერყეობას და შინაგან წინააღმდეგობებს უშუალობითა და სითბოთი გადმოსცემენ.

სპექტაკლის წარმატებაში გარკვეული დამსახურება მიუძღვით მსახიობებს ზ. გუნაის (ციცინო), მ. ტოგონიძეს (თინა), ეპიზოდურ როლებში თავიანთი უნარი და ოსტატობა გამოავლინეს მსახიობებმა ბ. ცომაია (ჯაბა), პ. წულაია (მეორე თემო), თ. ქურციკიძემ (სერგო), ჯ. ჭობლიამ (რეზო) და სხვებმა.

პირველი პრემიერის შემდეგ თეატრმა განახორციელა კ. ბუჩიძის — „პროვინციული ჭლიშვილი“, შ. როყვას — „მინდვრის დედოფალი“ და ლ. მილორაგას — „მრუდე კიბე“. ამთგან ორი უკანასკნელი საკოლმეურნეო ცხოვრებას ასახავს. ორთვე პიესის იდეური ლეიტმოტივი თითქმის ერთი და იგივეა. საკოლმეურნეო სოფლის გამრყე, პატიოსან მშრომლებსა და არაკეთილსინდისიერ ადამიანებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის საფუძველზე ნაწევნება, თუ როგორ იმარჯვებს სიკეთე და შრომისმოყვარეობა. ეს იდეური ხაზი ამ ნაწარმოებში განსხვავებული დრამატული ხერხებითაა გამოკვეთილი.

ორივე სპექტაკლის დადგმა სოლომონ ყიფშიძემ განახორციელა. რეჟისორს ერთგვარი სირთულის წინაშე აყენებდა თეატრად და იდეურად მონათესავე ნაწარმოებების განსხვავებული სცენური საშუალებებით წარმოდგენა. ასეთი სიძნელის მიუხედავად, რეჟისორმა წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანას. ს. ყიფშიძემ მახვილი სცენური ხერხებით გააყოფა თანამედროვე საკოლმეურნეო სოფელი თავისი ნაირფეროვანი ცხოვრებით, დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

„მინდვრის დედოფალსა“ და „მრუდე კიბეში“ კოლმეურნეობის თავმჯდომარეებია (კონდრატე, იპოლიტე) როლს ასრულებს ს. მოსია (რუსპ. დამსახურებული არტისტი). გამოდილი მსახიობი პირველ სპექტაკლში ოსტატურად გვიხატავს ლაჩარი ადამიანის, სხვისი ნაოფლარის ქურდულად მიმთვისებლის, ხოლო მეორეში თაღლითი, ფარისეველი კომინატორის სცენურად რთულ სახეებს. მსახიობი თავის გმირთა სულიერ სამყაროში დაკვირვებით გვახედებს, გვაჯერებს მათ მოქმედებაში, ფიქრებსა და განცდის სიმართლეში.

„მინდვრის დედოფალში“ სცენური უშუალობითა და მკაფიო გარდასახვით გამოირჩევიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ა. როგავა (ვეტხი), დ. ყუფურაძე (პართენა), ქ. ქსენუბა (ათინო), მსახიობები — გ. წერეთელი (დო-



როთუ, ზ. გუნია (თალიკო), ე. ლოლაშვილი (რეზო), ბ. ცომაია (ბარათო) და სხვები.

საპეტაკლი მხატვრულად კარგად აქვს გაფორმებული ახალგაზრდა მხატვარ ზ. ბეჭეაიას. ეს მისი პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარია.

„მრუდი კიბეში“ როლების ოსტატური შესრულებით გაამორჩევინა გ. წერეთელი (კინტარია), დ. ყუფიანი (საჩინო), ქ. ვინუა (ვაჭავაძე), ბ. ცომაია (კომპოზიციის ბუღალტერი), ვ. გაბისონია (პარიკმახერი), ზ. გუნია (თალიკო), ა. მახარაძე (ხელოანი), თ. ჯურციკიძე (გოგო).

კ. ბუაჩიშვილის დრამატურგია ქართული მსახურბლებისათვის კარგადაა ცნობილი. „პროვინციელი ქალიშვილი“, რომლის დადგმაც ზუგდიდის თეატრმა განახორციელა, არ დგას ავტორის სხვა კომედიების მხატვრულ სიმაღლეზე. რამდენიმე ბუნდოვანია მისი პერსონაჟების ხასიათებიც. მაგრამ მასში საკმაო სიმართლითაა ასახული ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი, ზოგიერთ ადამიანში შემორჩენილი ევოლუციური ჩვევები, რაც მაღალი სულის ადამიანებთან, ნამდვილ მოქალაქეებთან დაპირისპირების მთელი სიყვადით ვლინდება. პიესა დამაყურებლად მოგვითბობს ყოველივე დრომოჭმულსა და მანიკერის წარმავლობაზე, სიკეთის უპირატესობაზე რეჟისორმა ს. ყოფიძემ „პროვინციელი ქალიშვილის“ დადგმის დროს მიმართა ცოცხალ, ეფემერულ გამომსახველობით საშუალებებს. ამაში რეჟისორს დაეხმარა ნიჭიერი მხატვარი გ. გაბისონია. მხატვარმა დამდგმლის ჩანაფიქრი სრულყო კარგად შესრულებული დეკორაციული გაფორმებით.

კომედიის მთავარ გმირს — ფოსინეს ვულთლიად განასახიერებს ახალგაზრდა მსახიობი გ. გუნია. შემსრულებელი მთელ რიგ სცენებში დამაყურებლობას აღწევს.

ქარაფშუტა, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ქალის (მუზა) სახეს ცოცხლად წარმოგიადგენს მსახიობი დ. სოგინაიშვილი. ანსამბლიდან თვითნათი ოსტატობით გამოირჩევიან ა. როგავა (ივანე), გ. წერეთელი (ბურღულე ტაბალა), ბ. ცომაია (ირაკლი).

ვ. დარასიელის დრამა „კიკვიძე“ ახალი რევოლუციით პირველად ზუგდიდის თეატრში განხორციელდა. ნაწარმოების პირველი ვარიანტისაგან განსხვავებით, კიკვიძის სახე ამ პიესაში რამდენადმე ორიგინალურად წარმოგიადგება. მასში გმირის სანაძილო საქმეებთან ერთად ვუცნობით მისი ცხოვრების სხვა მხარეებსაც უბრალო ბუნებასა და მომზობილევ კეთილშობილებას. ისტორიული მოვლენები პიესის ამ ვარიანტში მეტი სიმართლითაა ასახული. სწორედ ამან დაინტერესდა საპეტაკლის ავტორი, ახალგაზრდა რეჟისორი თ. ჩხეიძე, რომელმაც დადგმა განახორციელა. რეჟისორის ინიციატა 24 წლის გენერლის გმირული დრამატული სახე, მისი ხანმოკლე სიცოცხლის მღელვარე ეპიზოდები, წინააღმდეგობათა მახვილი უთითებდაპირისპირება. მან შეძლო შეექმნა მართალი, ამაღლებელი საპეტაკლო.

თ. ჩხეიძე პირველივე, სადიპლომო საპეტაკლოთ „კორბუსი 5, თითბი 55“ გაიყინა ზუგდიდელმა მსახურბებელმა რო-

გორად აკვირვებელი, ახალგაზრდა ხელოვანი. მეორე საპეტაკლო იგი წარმოვიდა უფრო მოახროვნე, დახვეწილად მოვლების შემოქმედად. რეჟისორმა მოხდენილად, ბუნებრივად ააგო მიზანსცენები, მოწონებულად შევსა საპეტაკლო. მეტად შთაბეჭდილი და დამასახიერებელია გენერალ სიტინკოვის შეპყრობის, კიკვიძის სიკვდილის, ელიზავეტა დანილოვსასთან (დივიზის ექიმი) გამოთხოვების სცენები.

საპეტაკლის წარმატება მნიშვნელოვანად განაპირობა თვით მთავარი როლის შემსრულებელმა, ახალგაზრდა მსახიობმა ა. მახარაძემ. მისი კიკვიძე სცენაზე პირველი გამორჩენისთანადე ხიზლავს მსახურბელს უშუალოდ და ტემპერამენტით.

მეტად გამოკვეთილი ტიპური სახეა შ. მოსიას (რესპ. დამსახურებული არტისტი) დუდნიკოვი მინაი. მსახიობი ზომიერად, მეტყველო ინტონაციით კარგად გამოსცემს მოხუცი კაზაკის ხასიათს. სიტინკოვის დასამახიერებელი სახე შექმნა დამსახურებულმა არტისტმა ა. როგავამ. ასევე საინტერესოა დამსახურებული არტისტი დ. ყუფიანი კორნოვოვის როლში. დიდი გულწრფელობითა და განცდით განასახიერა დივიზიის შიკრიკი ხომეკოს როლი ბ. ცომაიამ.

მილინი ე. ლოლაშვილის შესრულებით ერთ-ერთი სრულყოფილი სახეა საპეტაკლოში. მსახიობი ღრმად ჩასწვდილია საბრძოლო-სტრატეგიულ საქმეებში ჩაუხედავ, პატივმოყვარე ადამიანის ბუნებას.

ქართველი ჯარისკაცი ტიტოვი სიცოცხლით სავსე, უშიშარი და გონებახსიანი მსახიობმა პ. წულუაბა ასულიად გააცნო და შეაყვარა იგი მსახურბელს. ტიპური და ხატოვანად ხორცუნებში სახეა ნ. ჭანტურია კაზაკის ქალი. საპეტაკლის წარმატებს დიდად შეუწვევს ხელი გ. წერეთელმა (მედოვანი), ა. ჯვარელმა (დუდნიკოვი), ლ. კედიამ (პრასკოვია), მ. ტოკონიძემ (ელიზავეტა დანილოვა), ვ. გაბისონიამ (სიტინკოვის მსახური), გ. ახვლედიანმა (ბრანინი), პ. ხაუომიამ (ჭაგვაყაძე). სცენის ყველაზე ახალგაზრდა თანაშრამომღები ჯ. ქობლასი გრიშუტა უშუალოდ და მიაშობით გამოირჩევა.

საპეტაკლი მუსიკალურად კარგად გაუფორმებია ს. ხატაშვილს. მოქმედებათა შესაბამისი მულოდები უფრო აძლიერებენ დადგმის ცოცხალ ემოციურობას.

ახალგაზრდა მხატვარ ა. რამიშვილს საპეტაკლის გასაფორმებლად ძალზე ძუნწი საშუალებებისათვის ენიშნათავს, მაგრამ თავისი ლაქონიურობით მიზანს აღწევს, ამძაფრებს მოქმედებას. ამ მხრე აღსანიშნავია ფინალური სცენა კიკვიძის დაღუპვისა. აქ შექმნილია ოსტატური გამორჩევილი მხატვარი კიდევ უფრო აძლიერებს დრამატისმს.

სახალსია და ძიების შეუწყლებელი წყურვილი იგრძნობა ზუგდიდის შ. დიდიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, რომელსაც წელს არსებობის 100 წელი უსრულდება. თეატრის ნიჭიერ კოლექტივს მომავლისათვის უფრო დიდი და საინტერესო გეგმები აქვს, რომელთა განხორციელებას მთელი დასი გატაცებითა და დიდი შემოქმედებითი გზებით მოეციდება.

ნაზიმ ჰიქმეთის ორი პიესა

გურამ ბათიაშვილი



ოველ ეპოქას და დროს სჭირდება თავისი ტრიბუნა—შემოქმედელი. ჩვენი საუკუნის თურქეთსაც სჭირდება ასეთი ტრიბუნა და მან შვა ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური ტალანტი. არც ერთი თანამედროვე თურქი მწერლის შემოქმედებაში არ არცეილა დღევანდელი თურქი ხალხის სულიკვეთება, ტკივილები და მისწრაფებები ისე ძლიერად, როგორც ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიასა და დრამატურგიაში აისახა. მაგრამ ასეთი დახასიათება ცოტაა ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებისათვის. მასში საერთოდ აისახა ჩვენი თანამედროვეობა, ხოლო მასთან კავშირში პოეტმა კიდევ უფრო წინ წამოსწია და დაგვიახლოვა თავისი სამშობლო.

დღეს თითქმის მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი ნაზიმ ჰიქმეთის სახელი. ვფიქრობ, ცდებიან ისინი, ვისაც ნ. ჰიქმეთი მხოლოდ მოქალაქეობრივი პოეზიის წარმომადგენლად მიაჩნია. ამ პოეტს, გარდა მაკალმოქალაქეობრივი ელერადობის ლექსებისა, დაწერილი აქვს ბევრი შესანიშნავი ლირიკული ნაწარმოები.

ნაზიმ ჰიქმეთის რომ მხოლოდ პოეზიაში ემუშავა და არასოდეს დაწერა პიესები, იგი მაინც ასევე შემორჩენილა ჩვენი შემეცნებასა და ლიტერატურის ისტორიას. მაგრამ ნ. ჰიქმეთი ყოველთვის ეძებდა თავისი სათქმელის გამოხატვის სხვადასხვა საშუალებებს მალადი მწვერვალების დამპყრობთათვის დამახასიათებელი ფინიანობით და აკვლავდა ახალ-ახალ ფორმებს თავისი აზრებისა და ემოციების სრულყოფილად გამოსახატავად, ამან მოიყვანა იგი დრამატურგიაშიც. იგი გახდა ავტორი პიესებისა, რომლებმაც წარმატებით შემოიარეს ევროპისა და აზიის თეატრების სცენები, და მათი ავტორი ხან მაყურებლის მიერ ხელში აყვანილი ატარეს თეატრთან სახლამდე, ხან კიდევ პოლიციის მიერ—სატყუარალოში.

ნაზიმ ჰიქმეთი მრავალი პიესის ავტორია. რასაკვირველია, ყველა ერთ მხატვრულ სიმაღლეზე არ დგას. ამაგად მკითხველის ყურადღება გუსურს შეეაჩეროს დრამატურგიაში ნ. ჰიქმეთის პირველ ნაბოჯებსა და პირველ ნაწარმოებზე. მაგრამ, უპირველესად, ვფიქრობთ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, თუ ინფორმაციის სახით მაინც მოვიშველებით რამდენიმე ცნობას ჩვენი მეზობელი ქვეყნის—თურქეთის თეატრის ისტორიიდან.

თურქული თეატრალური ხელოვნების სათავეებს ძიებებს შორეულ წარსულში გადავყავართ. თეატრალური ხელოვნების პირველი ეტაპი თურქეთში ყოფილა ერთგვარი სანახაობა

